

სასპეციალიზაციო საგამოცდო საკითხები
დისციპლინაში „არქიტექტურის თეორია“

/სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“-ზე შემსვლელთათვის/

2019-2020 სასწავლო წელი

სამაგისტრო თემატიკა: „შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა“

1. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურებანი და მისი გავლენა შენობა-ნაგებობების არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაზე
2. ქართული ხალხური საცხოვრებლის არქიტექტურა (მაჩუბი, ოდა, დარბაზი), თბილისური სახლები, სივრცულ-არქიტექტურული თავისებურებანი.
3. თანამედროვე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ძირითადი ტიპები.
4. კონტექსტი არქიტექტურაში.
5. ლე კორბუზიე – საცხოვრებლის არქიტექტურა. (ვილა სავოი და მარსელის სახლი)
6. არქიტექტურულ – ისტორიული და კულტურის ძეგლის მცნება.
7. თანამედროვე რესტავრაციის ძირითადი პრინციპები
8. ნაგებობის სივრცულ-არქიტექტურული და ფუნქციური ანალიზი - ლე კორბუზიე – კაპელა რონშანი
9. ნაგებობის სივრცულ-არქიტექტურული და ფუნქციური ანალიზი - რ. როჯერესი და რ. პიანო – პომპიდუს ცენტრი პარიზში
10. ნაგებობის სივრცულ-არქიტექტურული და ფუნქციური ანალიზი - იორნ უტკონი – სიდნეის ოპერის თეატრი
11. ნაგებობის სივრცულ-არქიტექტურული და ფუნქციური ანალიზი -ფრენკ გერი - თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ბილბაოში.
12. პრობლემები არქიტექტურაში.
13. შენობების არქიტექტურულ-მხატვრული სახის ფორმირების საფუძვლები.
14. რელიეფი და არქიტექტურა.
15. ინსოლაცია და არქიტექტურა.
16. ბუნებრივი განათება და არქიტექტურა.
17. განახლებადი ენერჯის წყაროები.
18. ენერგოეფექტური შენობების დაპროექტების პრინციპები.
19. მზის პასიური და აქტიური ენერჯის გამოყენების პრინციპები.
20. მდგრადი განვითარების არსი არქიტექტურაში.
21. ენერგოეფექტური მასალების ზემოქმედება თანამედროვე არქიტექტურაზე.
22. „ჰკვიანი“ სახლების დაპროექტების პრინციპები.
23. გლობალიზაციის პროცესი და ეკოლოგიური წონასწორობა.
24. ორგანული არქიტექტურის თეორია

ლიტერატურა:

- 1.ბ. თევზაძე. არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები. სახელმძღვანელო. დამტკიცებულია სტუ-ის სასწავლო-მეთოდური საბჭოს მიერ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2005. 72(077)/1; 189 გვ.
- 2.გ. ბერიძე - არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის პრობლემები (რჩეულ ნაშრომთა კრებული), თბილისი, 2001წ. – 711.4(082).30
- 3.„ოცნება და სინამდვილე“ წიგნი მესამე; ვახტანგ დავითაია თბ. 2016 (72/150)
- 4.ენერგოეფექტური პრინციპები ტრადიციული ქართულ არქიტექტურაში /2017 წ. 711.43 / 13

გ.სალუქვაძე. ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგია., გამომც. ”ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2007.

ორლოვსკი ბ., სერბინოვიჩი პ. არქიტექტურა. თარგმანი რუსულიდან. თბილისი, 1989.

სამაგისტრო თემატიკა: „ურბანული დაგეგმარება“

1. ტერმინების „ეკოლოგია“ და „ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგია“-ს განმარტებები და არსი
2. ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის ჩამოყალიბების ეტაპები
3. ქართული ხალხური ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის ეკოლოგიის ასპექტები
4. ქალაქთმშენებლობა და ეკოლოგიური განათლება
5. გლობალიზაციის პროცესი და ეკოლოგიური წონასწორობა
6. მწვანე ნარგავების როლი ქალაქის ეკოსისტემის შენარჩუნების საქმეში
7. ქალაქებისა და დასახლებული ადგილების მდგრადი განვითარება
8. განსხვავება „ქალაქის ეკოლოგიასა“ და „ურბოეკოლოგიას“ შორის/
9. ტყის მნიშვნელობა ბუნებისა და ადამიანის ცხოვრებაში
10. ქალაქში ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენის მეთოდები
11. ძველი მსოფლიოს ქალაქების გეგმარებითი სტრუქტურის მიმოხილვა
12. შუა საუკუნეების ხანის ქალაქთმშენებლობის თავისებურებები
13. საქართველოს ისტორიული ქალაქების დამახასიათებელი თვისებები
14. ბაროკო და კლასიციზმი ქალაქთმშენებლობაში
15. მეოცე საუკუნის ქალაქთმშენებლობითი თეორიები
16. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საფეხუროვანი სისტემა
17. ქალაქის ცენტრი
18. საცხოვრებელი რაიონი
19. სამრეწველო რაიონი
20. თანამედროვე ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა
21. ურბანული რეკონსტრუქცია – მიზანი, ამოცანები, ურბანული რეკონსტრუქციის ფორმები და სახეები
22. რეკონსტრუქცია, როგორც ქალაქგანვითარების ძირითადი ფორმა, მოქალაქეთა ცხოვრების თანამედროვე პირობების მიზანმიმართული ფორმირების პროცესი და ინსტრუმენტი
23. კულტურული მემკვიდრეობა – ურბანული რეკონსტრუქციის ფაქტორი. მისი როლი სარეკონსტრუქციო ქალაქის სტრუქტურაში. „ურბანისტული მემკვიდრეობა“, „ინტეგრირებული კონსერვაცია“, „ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა“ – ურბანული რეკონსტრუქციის საკვანძო ცნებები
24. ურბანული რეკონსტრუქციის არქიტექტურულ-სივრცითი, სივრცით-კომპოზიციური ამოცანები. ურბანული რეკონსტრუქციის სოციალური ამოცანები
25. ისტორიულ – კულტურული ფასეულობის დაცვაზე ორიენტირებული მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, როგორც ურბანული რეკონსტრუქციის ძირითადი ფაქტორი
26. წინასაპროექტო კვლევები, მიზანი, ამოცანები. ქალაქის ისტორიული გარემოს გეგმარებითი სტრუქტურის, ქალაქური ლანდშაფტისა და განაშენიანების მორფოლოგიის ანალიზი
27. ისტორიულ – გენეტიკული ანალიზი
28. ურბან – სოციოლოგიური კვლევა. მიზანი და პრაქტიკული დანიშნულება. განაშენიანების კლასიფიკაცია – ურბანული რეკონსტრუქციის მიმართულებისა და ხასიათის შესატყვისობის განსაზღვრის მიზნით. მდგრადი ტიპოლოგიური ჯგუფების გამოვლენა
29. ურბანული საზოგადოებრივი ღია სივრცის, როგორც ურბანისტული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილისა და ქალაქის არქიტექტურულ –ესთეტიკური ფორმის ელემენტის შენარჩუნება და განვითარება
30. ისტორიული ქუჩების ქსელი და სატრანსპორტო პრობლემების რეგულირება.

ლიტერატურა:

1. გ.სალუქვაძე. ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგია., გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“., 2007.
2. თევზაძე ე. ლანდშაფტური არქიტექტურა (დამხმარე სახელმძღვანელო). თბილისი: სტუ-ს გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2005.

სამაგისტრო თემატიკა: „ლანდშაფტური არქიტექტურა“

1. ბუნება მისი ფორმები და თავისებურებანი. ბუნებრივი და ანთროპოგენური

2. ნაგებობი ლანდშაფტში
3. კომპოზიციის საკითხები საბაღე საპარკო ხელოვნებაში
4. საბაღე-საპარკო მშენებლობის ძირითადი ეტაპები – აღორძინების პერიოდის იტალიური ბაღები და აბსოლუტიზმის პერიოდის საფრანგეთის რეგულარული სტილი
5. ლანდშაფტური სტილის ბაღები – ინგლისში, ჩინეთსა და იაპონიაში
6. XIX – XX საუკუნის საქალაქო პარკების დაგეგმარების პრინციპები
7. ქალაქის და ქალაქგარე ზონების გამწვანების სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქცია
8. ქალაქის მწვანე ნარგავთა სისტემა
9. ევროპის ისტორიული ქალაქების ლანდშაფტურ-სივრცითი ორგანიზაცია და სატრანსპორტო კრიზისის გადალახვის გზები ლანდშაფტურ-გეგმარებითი ხერხებით
10. XIX საუკუნის საქართველოს საადგილმამულო პარკები და თბილისის გამწვანება

ლიტერატურა:

1. გ.სალუქვაძე. ქალაქმშენებლობითი ეკოლოგია., გამომც. "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2007.
2. თევზაძე ე. ლანდშაფტური არქიტექტურა (დამხმარე სახელმძღვანელო). თბილისი: სტუ-ს გამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი" 2005.

სამაგისტრო თემატიკა: „გარემოს დიზაინი“

1. დიზაინის წარმოშობა
2. დიზაინი, როგორც პროფესია
3. მოხერხებულობა, კომფორტი, მარკეტინგი და დიზაინი
4. ფორმის ფუნქციურობა, რაციონალურობა და მობილურობა
5. სამრეწველო დიზაინის არსი
6. არქიტექტურული გარემოს დიზაინის არსი
7. ბაუჰაუზის ჩამოყალიბების წინაპირობები
8. პედაგოგიური მიდგომები ბაუჰაუზში
9. კონსტრუქციების მოდულურობა დიზაინში
10. კონსტრუქციები და ბიონიკა
11. დიზაინის ორიენტაცია უახლეს მასალებზე
12. ჰიგიენა, ეკოლოგია და დიზაინი
13. მასალა, როგორც ნაკეთობის მხატვრული სახე
14. ერგონომიკა და კომფორტი
15. ერგონომიკის მცნება და მეტრული სისტემები
16. აკერბლომის სისტემა და ერგონომიკა ავეჯში
17. ქუჩის ხელოვნება ანუ *Street art*
18. ავეჯის დიზაინი. ავეჯის სტილები
19. ფიტოდიზაინის ფორმირების ისტორია
20. აივნების და ტერასების ფიტო გაფორმება
21. რეკლამის ისტორია
22. რეკლამის კლასიფიკაცია
23. საფირმო სტილი და საფირმო სტილის ძირითადი პრინციპები
24. საფირმო ნიშნის კომპოზიცია
25. ისააკ ნიუტონი და მისი ხედვა ფერთი სარტყელის ბუნების შესახებ
26. გოეთე და მისი სწავლება ფერის შესახებ
27. რუნგეს ფერთი წრე და გერინგის თეორია ფერების შესახებ
28. ფერების სისტემატიზაცია ოსტვალდის მიხედვით
29. ფერთა ჰარმონიული შეხამებები
30. ფერთი სიმბოლიკა

ლიტერატურა:

1. გ.ბაგრატიონ-დავითაშვილი, დ.ელოშვილი., დიზაინი, ტრადიცია და თანამედროვეობა., თბ.,2005.

2. ვ. გრიგოლავა, რეკლამა და ფსიქოლოგია, მეცნიერება, თბ., 1972.
3. გ. ცხოვრებაძე, ადამიანის ანთროპომეტრიული მონაცემები და მათი გამოყენების საკითხები სამრეწველო ნაკეთობათა დაპროექტებაში, თბილისი, 1991.
4. გ. ცხოვრებაძე, დიზაინის ისტორია, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005.
5. ნ. ხაბეიშვილი, „რეკლამის ვიზუალური ხერხები“ – ლექციების მოკლე კურსი., 2011.
6. ნ. ხაბეიშვილი, „ფერთმცოდნეობა“ – ლექციების მოკლე კურსი., 2011.
7. ნ. ხაბეიშვილი, „დიზაინის თეორიული საფუძვლები“ – ლექციების მოკლე კურსი., 2011.

სამაგისტრო თემატიკა: „ინტერიერის დიზაინი“

1. ფერი, როგორც მხედველობითი კომფორტი, ფორმის გამოვლენის, სივრცის ორგანიზების და ინფორმაციის საშუალება. ფერთი ეფექტები
2. ინტერიერის განსაზღვრება. ინტერიერის შემადგენელი ნაწილები და მისი ფორმირების ძირითადი მოთხოვნები
3. ეგვიპტის ძველი, შუა და ახალი სამეფოს პერიოდის ინტერიერის არქიტექტურის ძირითადი თავისებურებანი
4. ძველი საბერძნეთის ინტერიერის არქიტექტურის ძირითადი თავისებურებანი
5. ძველი რომის ინტერიერის არქიტექტურის ძირითადი თავისებურებანი
6. ბიზანტიური ინტერიერის არქიტექტურის ძირითადი თავისებურებანი
7. რომანული ინტერიერის არქიტექტურის ძირითადი თავისებურებანი
8. გოთური ინტერიერის არქიტექტურის ძირითადი თავისებურებანი
9. აღორძინების ეპოქის ინტერიერის არქიტექტურის ძირითადი თავისებურებანი
10. ბაროკოს და როკოკოს ინტერიერის არქიტექტურის ძირითადი თავისებურებანი
11. კლასიციზმის ინტერიერის არქიტექტურის ძირითადი თავისებურებანი
12. ეკლექტიზმის ინტერიერის არქიტექტურის ძირითადი თავისებურებანი
13. XIX საუკუნის ინტერიერის არქიტექტურის ძირითადი თავისებურებანი
14. XX საუკუნის ინტერიერის არქიტექტურის ძირითადი თავისებურებანი (მოდერნი, ბაუხაუზი, კონსტრუქტივიზმი, ფუნქციონალიზმი)
15. თბილისური ინტერიერი, მისი დამახასიათებელი ნიშნები და სპეციფიკა

ლიტერატურა:

1. გ. მირიანაშვილი, საზოგადოებრივი შენობების ინტერიერი, განათლება, თბილისი, 1994.
2. მ. მილაშვილი, „სტილი ინტერიერში“ – სალექციო კურსი., 2011.
3. ნ. ხაბეიშვილი, ინტერიერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2007.

შეფასების კრიტერიუმები

საგამოცდო ბილეთი მოიცავს 4 საკითხს. თითოეულ საკითხს მინიჭებული აქვს 25 ქულა. მათი შეფასების კრიტერიუმებია:

21-25 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს საკითხის შესაბამის მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ლიტერატურა.

16-20 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს საკითხის შესაბამის მასალას.

11-15 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს საკითხის შესაბამის მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

6-10 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

1-5 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.